საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს ერთერთ სხდომაზე თქვა, რომ ქონების სარგებლობაში გაცემის საწყისი ზღვარი ასაწევია 10%-მდე და დაინტერესდა მერია რას აკეთებს ამ კუთხით. ამასთან, დასვა კითხვა, თუ ვინ იყო ზღვაიას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთით დაინტერესებული და რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ ადგილას მრავალწლიანი მცენარის (პავლონია) გაშენება.

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა დაეთანხმა საკრებულოს წევრის ბესიკ ფარცვანიას წინადადებას საწყისი საიჯარო ქირის აწევასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნა, რომ საკითხი შესასწავლია და მერიასთან ერთად-გადასაწყვეტი.

მომხსენებელმა გელა სალიამ ბესიკ ფარცვანიას შეკითხვაზე უპასუხა, თუ ვისი განცხადება იყო შემოსული მერიაში კონკრეტული მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ თითოეულ იჯარით გასაცემ ობიექტზე ტარდება აუქციონი, კანონით დადგენილი წესით, და შემოსული განცხადება არის მხოლოდ საფუძველი ობიექტის აუქციოზე გატანის.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე , ხმათა უმრავლესობით (მომხრე 17 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, მაია მიქავა, დათა კუკავა, სოლომონ სარია, ნანა ლემონჯავა, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია,ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, დათო მესხია, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია), წინააღმდეგი-4,(თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია,ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში /იჯარით/ აუქციონის ფორმით გაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება N34.

მოისმინეს: 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ . მომხსენებლის განმარტებით, საკითხი ეხება „ლიბერთი ბანკის“ ბანკომატის აპარატების მოსაწყობად ადგილების გამოყოფას.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე , ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება N35.

მოისმინეს: 8. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ . მან განმარტა, რომ მთავრობის დადგენილებაში შესული ცვლილების შესაბამისად, იცვლება საკრებულოს განკარგულების სახე და ფორმა, რაც შეეხება პროექტების ნუსხას, რჩება-უცვლელი.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე , ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე განკარგულება N36.

მოისმინეს: 9. .გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.წალენჯიხის ზღვაიას დასახლების შესასვლელში არსებული ხეივნისთვის იაშა მესხიას სახელის მინიჭების, მიზანშეწონილობის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ომარ ქარდავამ. საკითხი ეხება, ქალაქ წალენჯიხის ზღვაიას დასახლების შესასვლელისთვის (ხეივანი) ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, წალენჯიხის მკვიდრის იაშა (იაკობ) მესხიას სახელის მინიჭების ინიციატივას. მომხსენებელმა განმარტა, რომ ვინაიდან იაშა (იაკობ) მესხიას გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, მისი დამსახურებისა და ავტორიტეტის გათვალისწინებით მიაჩნია, რომ საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე , ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.წალენჯიხის ზღვაიას დასახლების შესასვლელში არსებული ხეივნისთვის იაშა მესხიას სახელის მინიჭების, მიზანშეწონილობის თაობაზე განკარგულება N37.

მოისმინეს: 10. სხვადასხვა

საკრებულოს წევრმა გონერ კვარაცხელიამ გააკეთა განცხადება ივნისის თვეში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ხანგრძლივი წვიმების შედეგად, სტიქიასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობას, სოფლებში ზარალი დიდია. ჩქვალერის ადმინისტრაციულ ერთეულში გზა თითქმის ორად არის გაყოფილი. მედანშიც რთული მდგომარეობაა. ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ გაწვდება ამ ოდენობის ზიანის ანაღაურებას და შესაბამისი მხარდაჭერა ცენტრალური ხელისუფლებისგან გვჭირდება, რისი კეთილი ნებაც ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა , რომ ზარალი დაუყონებლივ უნდა დაითვალოს და შედგეს ოქმები. ვადები შემჭიდროებულია თანხების გაცემაზე და რეაგირება დაუყონებლივ უნდა მოხდეს.

საკრებულოს წევრმა დარეჯან დადიანმა კითხვით მიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსს გელა სალიას არის თუ არა მერიაში შექმნილი კომისია და ვინ არაიან კომისიის წევრები?

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ აღნიშნა, რომ მერიაში შექმნილია შესაბამისი კომისია და მუშაობს კანონის შესაბამისად.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ დროული რეაგირება და ზარალის დათვლა აუცილებელია თანხების მოსაპოვებლად. მერიას ჰქონდა შანსი ცენტრალური ხელისუფლებიდან თანხების გამოყოფის და ამაზე დროულად უნდა ეფიქრა.

საკრებულოს წევრმა დათა კუკავამ აღნიშნა ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული მდგომარეობა, კერძოდ, საშონიოს უბანში დამეწყრილია გზისპირა მონაკვეთი და აუცილებლია კომისია ადგილზე მივიდეს და შეისწავლოს პრობლემა .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია